ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N18

26.01.2023 წელი
15:30 საათი

ქალაქ თბილისი
თორნიკე ერისთავის ქუჩა #2 (დ)

მიმდინარე წლის 26 იანვარს, 15:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გასვლითი სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი) და **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა, მოადგილე გოგი ჩიქოვანი,** ააიპ საქველმოქმედო ფონდი **„საქართველოს კარიტასი“** ბავშვთა პროგრამების კოორდინატორი **თამარ ჩადუნელი** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **,,ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების დაფინანსების პროგრამის“** მხარდაჭერით ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი **„საქართველოს კარიტასი“-ის** მიერ განხორციელებული პროექტის **,,საქართველოს კარიტასის ხელოვნების სტუდიის სოციალური საწარმო „ქ-ართ-ულის“** შესახებ ინფორმაციის მოსმენა და სამუშაო პროცესის გაცნობა.
მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სოციალური საწარმო შესახებ ინფორმაცია კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი"-ს პროექტი, ხელოვნების სტუდიის სოციალური საწარმო „ქ-ართ-ული" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამით - „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა" (კოდი 08 08 01) გათვალისწინებული ასიგნებებიდან დაფინანსდა. სტუდია აღიჭურვა საჭირო ხელსაწყოების და დანადგარების გარკვეული ნაწილით, სტუდიის კურსდამთავრებული, სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე 6-18 წლის ასაკის, 6 ბენეფიციარი დასაქმდება ტიხრული მინანქრის მიმართულებით.

პროექტის სოციალური მიზანია ხელოვნების სტუდიის კურსდამთავრებულებს მიეცეს საშუალება გამოიყენონ მიღებული უნარები და შექმნან მაღალი ხარისხის ხელნაკეთი ნივთები, შედეგად მიიღონ ანაზღაურება მათ მიერ შექმნილი ნივთის რეალიზებიდან.

თამარ ჩადუნელი- კარიტასი 1997 წლიდან ახორციელებს ხელოვნების სტუდიის პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი ოჯახების, ბავშვების სხვადასხვა პროფესიული უნარების შესწავლას. ხელოვნების სტუდიაში არის კერამიკის, ხატვის, ფერწერის და ხატწერის, ხის, ქვის და მეტალის მხატვრული დამუშავების, ტიხრული მინანქრის, ხალიჩების და ფარდაგების ქსოვის, თექის ნაწარმის სახელოსნოები, სადაც წლის განმავლობაში 80-მდე ბავშვი ეუფლება შესაბამის ცოდნას (უნარებს). სტუდია აღჭურვილია საჭირო ხელსაწყოების და დანადგარების გარკვეული ნაწილით. სწორედ ხელოვნების სტუდიის ფარგლებში განხორციელდა სოციალური საწარმო ,,ქართულის" პროექტი, ტიხრული მინანქრის მიმართულებით რამდენიმე ახალგაზრდა დასაქმდება რაშიც გარკვეულ ანაზღაურებას მიიღებს.

კომისიის წევრებმა პროექტის ფარგლებში დამზადებული ხელნაკეთი ნივთები, ასევე სახელოსნოები დაათვალიერეს და მიმდინარე სასწავლო პროცესს გაეცნენ.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - როგორც აღინიშნა, 2022 წელს თბილისის მერიამ დაიწყო ახალი პროგრამა ახალგაზრდებისთვის, ეს არის ახალგაზრდების მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა, 20-მდე მსგავსი პროექტი დაფინანსდა და ერთ ერთი ასეთი არის კარიტასის აკადემია, რომლის ფარგლებშიც დაფუძნდა სოციალური საწარმო ,,ქართული", ძალიან მნიშვნელოვანია ის საქმე რასაც ეს ორგანიზაცია ახორციელებს,ზუსტად მერიის დაფინანსებით და მხარდაჭერით მოხდა ინვენტარის და შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა ამ სოციალური საწარმოსთვის, პროექტის ფარგლებში დასაქმდა 6 ახალგაზრდა, რომლებიც ამ ცენტრის ბენეფიციარები არიან, მომავალი პერიოდის განმავლობაშიც გაგრძელდება თანამშრომლობა კარიტასთან, როგორც მერიის, ასევე საკრებულოს მხრიდანაც.

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ,,ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების დაფინანსების პროგრამის"

მხარდაჭერით ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“-ის მიერ განხორციელებული პროექტის ,,საქართველოს კარიტასის ხელოვნების სტუდიის სოციალური საწარმო „ქ-ართ-ულის“ შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე